საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030147099413320

№ 01-439/ო **03 / სექტემბერი / 2020 წ.**

წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/ გამოქვეყნებამდე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად გათვალისწინებულ შეზღუდვათა ზედმიწევნით დაცვის მიზნით, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ო“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოთ სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს ხელი შეუწყონ არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ დებულებათა ზედმიწევნით დაცვისა და აღსრულების, ასევე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით.

3. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციასა (თ. ხარძიანი) და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ ამ ბრძანების თანამშრომელთათვის გაცნობა (მათ შორის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობასა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო გაცნობის მიზნით, აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება).

4. სამინისტროსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან და გაითვალისწინონ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესები და მოთხოვნები. ამ ბრძანებისა და საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ დებულებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 2 აგვისტოს № 01-28/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე